საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/132 "15" სექტემბერი 2020 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ხაშურის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ზ. რამიშვილის საჩხერის რაიონულ სასამართლოში მივლინების შესახებ

„საჩხერის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე ი. ყიფიანის შვებულების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის 2020 წლის 9 სექტემბრის №2 §II გრძანების შესაბამისად ივანე ყიფიანი შვებულებით სარგებლობს 2020 წლის 21 სექტემბრიდან 30 სექტემბრის ჩათვლით. ვინაიდან, ი. ყიფიანი საჩხერის რაიონულ სასამართლოში უფლებამოსილების განმახორციელებელი ერთადერთი მოსამართლეა, მისი შვებულების ყოფნის პერიოდში მიზანშეწონილია საჩხერის რაიონულ სასამართლოში მოსამართლის უფლებამოსილების განსახორციელებლად მივლინებულ იქნეს სხვა მოსამართლე.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 37[1] მუხლის მოთხოვნების გათვალისწინებით, საჩხერის რაიონულ სასამართლოში, მოსამართლის არყოფნის გამო, მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელების წინადადებით მიემართათ ხაშურის რაიონული სასამართლოს მოსამართლეებს. 2020 წლის 15 სექტენბერს მიღებულ იქნა მოსამართლე ზაზა რამიშვილის თანხმობა. ვინაიდან, მივლინება მხოლოდ 8 სამუშაო დღეს მოიცავს, ეს არ გამოიწვევს მოსამართლე ზაზა რამიშვილის დატვირთულობის მნიშვნელოვნად გაზრდას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 37[1] მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად:

1. ხაშურის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ზაზა რამიშვილი მივლინებულ იქნეს საჩხერის რაიონულ სასამართლოში მოსამართლის უფლებამოსილების განსახორციელებლად, 2020 წლის 21 სექტემბრიდან 30 სექტემბრის ჩათვლით.

2. ზაზა რამიშვილმა იმავდროულად მოსამართლის უფლებამოსილება განახორციელოს ხაშურის რაიონულ სასამართლოში.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი